

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**  
**ეთიკის კომისია**  
**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**  
**დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე**

**ეთიკის კომისიის შემადგენლობა:**

**კომისიის თავმჯდომარე:** თორნიკე ბაქრაძე

**კომისიის წევრები:** ქეთევან უტიაშვილი, ინგა სეხნიაშვილი, ია გაბედავა, ანა ხურციძე, მარიკა არევაძე, ხათუნა ჩხაიძე, კონსტანტინე გელაშვილი, ირაკლი კორძაძია, ბესარიონ ბოხაშვილი, არჩილ ჩოფიკაშვილი

**საჩივრის ავტორი:** ოლია მკერლიშვილი

**წარმომადგენელი:** მაია დარბაიძე

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 19.02.2016

**საჩივრის რეგისტრაციის №**012/16

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიმართ /სიითი #4754/

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ვასილ მეტონიძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

**I აღწერილობითი ნაწილი:**

**1. საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2016 წლის 19 თებერვალს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ოლია მკერლიშვილმა და მოითხოვა ადვოკატ ვასილ მეტონიძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანის წარმომადგენელმა მაია დარბაიძემ ეთიკის კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტებები წარმოადგინა 2015 წლის 25 მარტს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, 2018 წლის 05 ივნისს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე და 2019 წლის 5 აპრილს გამართულ ეთიკის კომისიის სხდომაზე.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის 17 აპრილს დააკავეს მისი შვილი ნ. მ.. ოლია მკერლიშვილის განცხადებით, ადვოკატი ვასილ მეტონიძე, რომელთანაც მის ოჯახს გააჩნდა დიდი ხნის ახლობლური ურთიერთობა, თავისივე სურვილით ჩაერთო საქმეში ისე, რომ

მხარეებს ოფიციალური ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ არ გაუფორმებიათ. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმის წარმოების პროცესში მისი მხრიდან ხდებოდა აუცილებელი ხარჯების გადახდა კერძოდ ტრანსპორტირების, ორდერის, საკანცელარიო და სხვადასხვა ხარჯების ანაზღაურება.

- 1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წლის 04 ივნისს, მისი შვილის, ნ. მ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით დასრულდა საქმის წარმოება. ოლია მკერლიშვილის განმარტებით, აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, სადაც, ზეპირი მოსმენის გარეშე, 2015 წლის 23 ივლისს, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რითაც უცვლელი დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დადგენილი სასჯელი და მომჩივან მხარეს დაუბრუნდა მის მიერ გირაოს სახით გადახდილი 5000 (ხუთი ათასი) ლარი.
- 1.4. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული განაჩენი ჩაიბარა ვასილ მეტონიძემ პირადად, თუმცა, ადვოკატს მომჩივანისთვის არც განაჩენის თაობაზე უცნობებია და არც ის უთქვამს, რომ სასამართლომ გირაოს სახით გადახდილი 5 000 (ხუთი ათასი) ლარი უკან დაუბრუნა. ასევე, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატმა აუკრძალა ოლია მკერლიშვილს განაჩენის ლ. ა.-სათვის გადაცემა. ვასილ მეტონიძემ მოატყუა იგი და უთხრა, რომ მის შვილს სასამართლომ დააკისრა დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით და განუმარტა, რომ დაიბრუნებდა მის მიერ გადახდილ გირაოს თანხას და გადარიცხავდა ჯარიმის ანგარიშზე, რისთვისაც მას სჭირდებოდა მინდობილობა. ოლია მკერლიშვილის განმარტებით, 2015 წლის 25 ივნისს მან მისცა მინდობილობა ადვოკატს თანხის განკარგვასთან დაკავშირებით, ხოლო აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე ვასილ მეტონიძემ სააღსრულებო ბიუროდან პირად ანგარიშზე გადარიცხა გირაოს სახით გადახდილი თანხა. მომჩივანის განმარტებით არაერთგზის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, ვასილ მეტონიძემ თანხა მაინც არ დაუბრუნა და „აშანტაჟებდა“, რომ მის შვილს საფრთხეს შეუქმნიდა.
- 1.5. მომჩივანის წარმომადგენლის მათა დარბაიდის განმარტებით, გირაოს სახით გადახდილი თანხა ვასილ მეტონიძეს ოლია მკერლიშვილისათვის არ გადაუცია. იგი პირადად შეხვდა ადვოკატს, რომელმაც უთხრა, რომ ეს იყო მისი ჰონორარი. წარმომადგენლის განცხადებით, არსებობს ამის ჩანაწერებიც, უბრალოდ მას არ სურდა მათი წარმოდგენა ეთიკის კომისიაში. მისივე განმარტებით, ადვოკატმა პირად საუბარში აღნიშნა, რომ თანხა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზნით აიღო, ის დაეხმარა ოჯახს და მას არასოდეს დაუბრუნებდა.
- 1.6. ეთიკის კომისიის სხდომაზე მათა დარბაიდემ განმარტა, რომ საჩივრის შემოტანის დროს საჩივრის ავტორის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოდგენდა თანხის დაბრუნება. თუმცა, საჩივრის ავტორმა ვასილ მეტონიძისთვის თანხის დაკისრების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას სრულად დაუბრუნა თანხა ოლია მკერლიშვილს. შესაბამისად, საჩივრის ავტორს თანხის დაბრუნების ნაწილში მოთხოვნა აღარ გააჩნია, თუმცა კვლავ აქვს პრეტენზია ადვოკატის კეთილსინდისიერებასა და ადვოკატისთვის მინდობილი თანხის თაობაზე კლიენტისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებაზე.
- 1.7. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატმა კლიენტთან შეხვედრის პირველივე დღიდან დაარღვია კონფიდენციალურობის პრინციპი, ვინაიდან ოფისში მისვლის დროს ადვოკატ ვასილ მეტონიძესთან საუბარს ესწრებოდნენ სხვა ადვოკატებიც. ასევე, ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებიდან გაირკვა, რომ ადვოკატი

მანქანაში ესაუბრებოდა სხვა ადვოკატებს ნ. მ.-ის სისხლის სამართლის საქმის დეტალებისა და გირაოს სახით აღებული თანხის შესახებ.

- 1.8. მათა დარბაიძის განმარტებით, ოლია მკერლიშვილისთვის თანხის გადაცემის თაობაზე წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებები შეიცავს არასწორ ინფორმაციას. ადვოკატმა ოლია მკერლიშვილს დაუბრუნა მხოლოდ საქმის მასალები და არანაირი კონვერტი მომჩივანისთვის არ გადაუცია. დასახელებულ დროს, ოლია მკერლიშვილთან შეხვედრაც არ მომხდარა, ვინაიდან იმ პერიოდში, საჩივრის ავტორი იმყოფებოდა ქალაქგარეთ.
- 1.9. მათა დარბაიძის განმარტებით, ადვოკატ-კლიენტს შორის ჰონორარზე შეთანხმება არ მომხდარა. არც ადვოკატს მოუთხოვია და არც კლიენტს შეუთავაზებია თანხა გაწეული საქმიანობისათვის, ვინაიდან ოჯახს ძალიან უჭირდა ფინანსურად. საჩივრის ავტორის წარმომადგენლი ეთანხმება პოზიციას, რომ ადვოკატის მომსახურება აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს, თუმცა, რაოდენობა შეთანხმებული უნდა იყოს წინასწარ.
- 1.10. მათა დარბაიძის განმარტებით, ადვოკატ ვასილ მეტონიძეს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

## **2. საჩივრის ავტორის მოწმის ლ. ა.-ს ახსნა-განმარტება:**

- 2.1. მოწმე ლ. ა.-მ, რომელიც არის საჩივრის ავტორის და, საპროცესო კოლეგიის 2016 წლის 08 ივლისის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატი ვასილ მეტონიძე არის მისი ყოფილი სტუდენტი და ასევე, მისი ნათლულის მამა. ადვოკატის მიერ თანხის აღება მოხდა სხვა ადამიანის ინიციატივით, რომელიც მას ჰყავს მოყვანილი მოწმედ და რომელმაც აიძულა აღნიშნული მოქმედების განხორციელება.
- 2.2. ლ. ა.-ს განმარტებით, როდესაც პოლიციის შენობაში ნახა ვასილ მეტონიძე, მან თავად გამოთქვა დახმარების სურვილი. მოწმე განმარტავს, რომ საუბარი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. ვასილ მეტონიძემ უთხრა მას, რომ საპროცესო შეთანხმება აუცილებლად გაფორმდებოდა, ამიტომ მის დისშვილს დანაშაული უნდა ეღიარებინა, თუმცა, რეალურად, საპროცესო შეთანხმება არ შედგა. ლ. ა.-ს განმარტებით, ვასილ მეტონიძეს არაფერი გაუკეთებია საქმისათვის და თავად მოწმესთან, ადვოკატ რ. ნ.-სთან ერთად, კარნახობდა, რა და როგორ უნდა გაეკეთებინა. მოწმის თქმით, მის დისშვილს სურდა ადვოკატი შეეცვალა, რადგანაც პოლიციაში ეუბნებოდნენ, რომ აღნიშნული ადვოკატი ვერ დაეხმარებოდა მას, პირიქით - მისთვის ცუდი შედეგი დადგებოდა. თუმცა, ვინაიდან საპროცესო შეთანხმებაზე მიდიოდა საუბარი და გირაოს თანხაც გადახდილი იყო, ადვოკატის შეცვლის საჭიროება ვეღარ დაინახა.
- 2.3. მოწმის განცხადებით, როდესაც საქმე დასრულდა, მან დაურეკა ადვოკატს და ჰკითხა, თუ რა შედეგი დადგა, მან კი უპასუხა, რომ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. ლ. ა.-ს განცხადებით, აღნიშნულის თაობაზე მას თავიდან ეჭვი არ შეჰპარვია, მაგრამ, მოგვიანებით გააანალიზა, რომ შეთანხმება თუ გაფორმდებოდა, პროკურატურა სააპელაციო სასამართლოში აღნიშნულს არ გაასაჩივრებდა, ამიტომ ურჩია მის დას, რომ ადვოკატისთვის გამოერთვა განაჩენი. მოწმის განმარტებით, როდესაც მისი და განაჩენს გაეცნო, ჰკითხა, თუ სად იყო 5 000 (ხუთი ათასი) ლარი, რომელიც მათ გადაიხადეს, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ აღნიშნული თანხა გადახდილი იქნა ჯარიმის სახით.
- 2.4. მოწმის განმარტებით, მან თავადაც ჰკითხა ვასილ მეტონიძეს, თუ სად წაიღო აღებული თანხა, ადვოკატმა უპასუხა: „როდის იყო კლიენტებს ვეუბნებოდით, თუ სად მიგვაქვს ფული?“. ლ. ა.-ს

განცხადებით, მან ადვოკატს რამოდენიმე დღე მისცა, რომ თანხა დაებრუნებინა. მოწმის განცხადებით, ამ დროის გასვლის შემდეგ, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს სასამართლოს ეზოში და გასაუბრებისას ადვოკატმა განმარტა, რომ ფული დახარჯა რესტორანში. მოწმე, ასევე, განმარტავს, რომ ადვოკატთან ფინანსურ ნაწილზე შეთანხმება არ ყოფილა და არც წერილობითი ხელშეკრულება არ იყო გაფორმებული მხარეებს შორის. სხვა ადვოკატი საქმეში არ ყოფილა ჩართული, მიუხედავად იმისა, რომ სურდა რ. ნ. ჩართულიყო ადვოკატად, მაგრამ ის თავად იყო წინააღმდეგი რადგან მას ფულს ვერ გადაუხდინდნენ.

### **3. საჩივრის ავტორის მოწმის ხ. გ.-ს ახსნა-განმარტება:**

3.1. მოწმე ხათუნა გიორგაძემ, 2016 წლის 08 ივლისის სხდომაზე, განმარტა, რომ ლ. ა. და ვასილ მეტონიძე არიან მეგობრები და თავადაც მეგობრობდა მათთან. მოწმის განცხადებით, ნ. მ.-ის დაკავებისას, ლ. ა.-მ დაურეკა მას და სთხოვა დახმარება. ხ. გ.-ს სანამ პოლიციაში მივიდოდა, დაურეკა ვასილ მეტონიძეს, რადგანაც ის მუშაობდა სისხლის სამართლის საქმეებზე, ამიტომ ჩათვალა, რომ იგი უკვე ინფორმირებული იქნებოდა აღნიშნულ საქმეზე. მოწმემ ვასილ მეტონიძესთან საუბრის დროს გაარკვია, რომ მას ინფორმაცია არ ჰქონდა სისხლის სამართლის საქმეზე, თუმცა მან როგორც კი გაიგო აღნიშნულის შესახებ, დაინტერესდა და დახმარების მიზნით თავადაც წავიდა პოლიციაში.

3.2. მოწმის განმარტებით, მას თანხის აღების თაობაზე არაფრის დადასტურება არ შეუძლია, თუმცა, ლ. ა.-სგან ხშირად ესმოდა პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ ვასილ მეტონიძე მათ ფულს არ უბრუნებდა. მოწმის განცხადებით, მას არ აქვს ინფორმაცია საქმეში ვასილ მეტონიძესთან ერთად სხვა ადვოკატიც თუ იყო ჩართული, ლ. ა.-სგან იცოდა, რომ ადვოკატს სხვა ეხმარებოდა და აკვალიანებდა.

### **4. ადვოკატის პოზიცია:**

4.1. ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ 2016 წლის 09 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო ზეპირი განმარტება ადვოკატმა წარმოადგინა 2018 წლის 05 ივნისს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე და 2019 წლის 05 აპრილს გამართულ ეთიკის კომისიის სხდომაზე.

4.2. ადვოკატის განცხადებით, 2015 წლის 15 აპრილს, დაახლოებით 23:30 საათზე, დაუკავშირდნენ და სთხოვეს დახმარებოდა ლ. ა.-ს დის შვილს. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორთან ნათესაური კავშირი არ ჰქონდა, თუმცა ლ. ა.-სთან ერთად აწარმოებდა რამოდენიმე სამოქალაქო საქმეს, ამიტომაც დახმარება სთხოვეს მას. მათ იცოდნენ, რომ თანხას არ გადაიხდინდნენ. ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ზეპირი შეთანხმების მიხედვით, საჩივრის ავტორს ჰონორარის სახით უნდა გადაეხადა 2000 ლარი.

4.3. ადვოკატის განმარტებით, ნ. მ. დაკავებული იქნა ძველი თბილისის პოლიციის მიერ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც, ჩხრეკის დროს, შარვლის ჯიბიდან, მეზობლების თანდასწრებით, თავისივე კორპუსის ეზოში, ამოუღეს ნარკოტიკული ნივთიერება. ვასილ მეტონიძე აღნიშნავს, რომ ნ. მ.-ის დედამ და დეიდამ - ლ. ა.-მ ვასილ მეტონიძეს სთხოვეს ჩართულიყო საქმეში. ადვოკატის განმარტებით, იგი იმავე ღამეს შეხვდა ბრალდებულს და ამ უკანასკნელმაც სურვილი გამოთქვა ვასილ მეტონიძეს დაეცვა მისი ინტერესები.

4.4. ადვოკატის განმარტებით, ოლია მკერლიშვილი და ლ. ა. კატეგორიულად ითხოვდნენ მისგან, რომ საჩივარი შეეტანა და „დაეჭირა“ გამომძიებელი თ. გ., რაზეც მან უარი განაცხადა. ადვოკატის

განცხადებით, მეორე დღეს მასთან მივიდა ლ. ა., რომელსაც სთხოვა ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ, მან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი უთხრა შემდეგი სიტყვებით: „რა, ბიჭო, შენ ფული გინდა აიღო ჩემიდან?“ ადვოკატის განმარტებით, იგი შეეცადა აეხსნა, რომ აქ ფულზე კი არ იყო საქმე, არამედ ხელშეკრულება სჭირდებოდა იმისთვის, რომ შემდგომში რაიმე პრობლემა არ შექმნოდა, თუმცა, მიუხედავად თხოვნისა, იგი ხელშეკრულების გაფორმებაზე მაინც ვერ დაითანხმა. ადვოკატის განცხადებით, იმავე დღეს იყო ჩანიშნული ადვოკატის ღონისძიება, ამიტომაც ბრალდებული დაცვის გარეშე ვასილ მეტონიძემ აღარ დატოვა.

- 4.5. ადვოკატის განცხადებით, ადვოკატის ღონისძიების სახით პროკურორს სურდა გამოეყენებინა პატიმრობა, მან კი მოახერხა და დაარწმუნა მოსამართლე, რომ პატიმრობის გამოყენება არ იყო საჭირო და გირაო 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით დაეკმაყოფილებინა. ადვოკატის განმარტებით, შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ხოლო გირაოს თანხა 5 000 (ხუთი ათასი) ლარით განისაზღვრა. ვასილ მეტონიძის განცხადებით პროკურატურამ გაასაჩივრა სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ადვოკატის განცხადებით, მხარემ გირაო გადაიხადა 5 000 (ხუთი) ათასი ლარის ოდენობით და დოკუმენტების ჩაბარების შემდეგ, რამოდენიმე დღეში, ნ. მ. გამოვიდა სად-ის №8 დაწესებულებიდან.
- 4.6. ადვოკატის განმარტებით მან სამჯერ მიმართა პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად, რადგან არ ჩანდა, საქმიდან გამომდინარე, ნ. მ.-ის გამამართლებელი განაჩენის არსებობის პირობა. ადვოკატის განცხადებით, პროკურატურამ შუამდგომლობა არც ერთხელ არ დააკმაყოფილა, ამიტომ მან გადაწყვიტა, ბრალდებულთან შეთანხმებით, არსებით განხილვაზე გადასულიყო და დაიწყო ნ. მ.-ის მომზადება ამ კუთხით. სასამართლო პროცესზე დადგა შემდეგი სახის შედეგი - ერთი წელი პირობითი მსჯავრი და ერთი წელი გამოსასწორებელი ვადით, ხოლო ხუთი ათასი ლარი გირაო უკან დაუბრუნდა ბრალდებულის ოჯახს.
- 4.7. განხილვის კოლეგიისათვის მიცემული ადვოკატის განმარტების მიხედვით, ვასილ მეტონიძემ საქმის მასალები სასამართლოს ეზოში გადასცა ნ. მ.-ს და აუხსნა, რომ ნაწილი მასალების უნდა შეენახა მას, ხოლო ნაწილი მასალების თავად დაიტოვებდა. ადვოკატის განცხადებით, მას შემდეგ, რაც პროკურატურამ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, ამ პერიოდის მანძილზე ოლია მკერლიშვილი ითხოვდა გირაოს თანხას - 5 000 (ხუთი ათასი) ლარს. ადვოკატის განმარტებით, იგი მას უხსნიდა, რომ სანამ სასამართლო პროცესი არ მორჩებოდა და გადაწყვეტილება არ შევიდოდა კანონიერ ძალაში, თანხის დაბრუნება ვერ მოხერხდებოდა. მისივე განმარტებით, ოლია მკერლიშვილმა გადაწყვიტა მიეცა მისთვის მინდობილობა, რადგან მომჩივანს არ სურდა თანხის დაბრუნების პროცედურებში მონაწილეობის მიღება. ვასილ მეტონიძის განცხადებით, იმ მომენტში მას არ უფიქრია თანხის ოლია მკერლიშვილის ანგარიშზე ჩარიცხვა, თუმცა ალბათ აჯობებდა ასე მოქცეულიყო. ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ მას თავი უნდა აერიდებინა თანხის დაბრუნების პროცედურებში მონაწილეობის მიღებისგან.
- 4.8. ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების მიხედვით, მან მინდობილობის საფუძველზე მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს განცხადებით გირაოს თანხის დაბრუნების თაობაზე, ხოლო როდესაც თანხა ჩაირიცხა, მან ხელზე აიღო 4970 (ოთხი ათას ცხრაას სამოცდაათი) ლარი, რადგან 30 (ოცდაათი) ლარი იყო ბანკის მომსახურების თანხა. განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ თანხის აღების შემდეგ მან დაურეკა ოლია მკერლიშვილს, რომელსაც შეხვედრაზე შეუთანხმდა წერეთლის გამზირზე,

სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე. ადვოკატის განმარტებით, იგი იმყოფებოდა მომჩივანის მაღაზიასთან, ახლო მანძილზე, საკუთარი, „ლენდ როვერი“-ს მარკის ავტომობილით, გადავიდა მანქანიდან, რომელიც გააჩერა წესების დარღვევით და თანხა, კონვერტში მოთავსებული, საქმის მასალებთან ერთად, გადასცა ოლია მკერლიშვილს. ეთიკის კომისიის სხდომაზე, ადვოკატმა არ დაადასტურა თანხისა და საქმის მასალების გადაცემის ფაქტი და აღნიშნულზე არ ისურვა განმარტების გაკეთება.

- 4.9. ადვოკატი, ასევე, აღნიშნავს, რომ კლიენტს, მის გამო, არანაირი ხარჯის გაწევა არ მოუწია რადგან იგი გადაადგილდებოდა საკუთარი ავტომანქანით და კლიენტის მომსახურებას არ საჭიროებდა. ადვოკატს მიაჩნია, რომ ოლია მკერლიშვილს უბრალოდ მასზე „შურისძიება“ სურს, რადგანაც მან მის შვილს „ნაციხარი“ უწოდა, გამომძიებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრა და პროკურორის წინააღმდეგ საჩივარი არ შეიტანა. ადვოკატის მოსაზრებით, ამ საქმის უკან დგას ლ. ა..
- 4.10. ადვოკატის განმარტებით, საქმის დასრულების შემდეგ, თვითონ ნ. მ. მივიდა მასთან, რომელსაც სხვა საქმეზე სჭირდებოდა ადვოკატი, თუმცა, მას დაცვაზე უარი თავად უთხრა. ადვოკატი, ასევე, განმარტავს, რომ იგი არ ემუქრებოდა ოლია მკერლიშვილის შვილებს და, პირიქით, მათთან მეგობრული ურთიერთობა აქვს.
- 4.11. ადვოკატის განცხადებით, მან მიათითებინა კლიენტს სასამართლო პროცესზე, რომ გირაოს თანხა იყო ბანკიდან სესხის ხელშეკრულების საშუალებით მიღებული, ამიტომ სასამართლომ სრულად დაუბრუნა მხარეს ეს თანხა.
- 4.12. ადვოკატის განმარტებით, მის სამუშაო ოფისში საქმიანობენ სხვა ადვოკატებიც - რ. ნ., ე. ჩ. და ა. დ. ისინი სხედან ერთ ოთახში, ვინაიდან ცალკე შეხვედრების ოთახი არ არსებობს. საჩივრის ავტორს მათი თანდასწრებით კონსულტაციების მიღების თაობაზე არ გამოუთქვამს პრეტენზია. შესაბამისად, ვასილ მეტონიძისა და ოლია მკერლიშვილის საუბარს ესწრებოდნენ ისინიც, ამასთანავე საჩივრის ავტორი კომუნიკაციაში შედიოდა სხვა ადვოკატებთანაც მათგან პოზიციების მიღების მიზნით. განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ საჩივრის ავტორისთვის შეთავაზება ცალკე საუბრის შესახებ ან განმარტება კონფიდენციალობაზე არ მომხდარა, თუმცა ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ოლია მკერლიშვილს ოფისში მისვლისას განემარტა კონფიდენციალობაზე და სურდა თუ არა მხოლოდ ადვოკატ ვასილ მეტონიძის თანდასწრებით საუბარი, საჩივრის ავტორს სხვა ადვოკატებთან ერთად კონსულტაციების მიღებაზე პრეტენზია არ გამოუთქვამს.
- 4.13. ადვოკატის განმარტებით ნ. მ.-ს სასამართლო პროცესი არ იყო დახურული და ბრალდებული ესწრებოდა ყველა სასამართლო პროცესს, მათ შორის გადაწყვეტილების გამოცხადებას. სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ ის პირებიც, რომლებიც ადვოკატთან ერთად მუშაობენ სამუშაო ოფისში და ასევე ადვოკატის მანქანაში ისხდნენ საჩივრის ავტორისთვის საქმის მასალების გადაცემისას.
- 4.14. ადვოკატის განმარტებით, მას არ უთქვამს მათა დარბაიძისათვის, რომ აღნიშნული თანხა მიიღო, როგორც ჰონორარი. ასევე, მისი განმარტებით, არასწორია ინფორმაცია, რომ მან თანხა რესტორანში დახარჯა.
- 4.15. ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა დაადასტურა, რომ სასამართლოში ოლია მკერლიშვილის სარჩელის საფუძველზე მიმდინარეობდა სამოქალაქო წარმოება, რომლის

შემდგომ მის მიერ საჩივრის ავტორისთვის სრულად იქნა გადახდილი 5000 ლარი. აღნიშნული დავა მიმდინარეობდა დაახლოებით სამი თვის წინ.

4.16. ადვოკატის განცხადებით, საქმე ჰქონდა გარკვეულ გაუგებრობას, აღმოიფხვრა პრობლემა და თანხა სრულად იქნა საჩივრის ავტორისთვის დაბრუნებული. შესაბამისად, მის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობა.

#### 5. ადვოკატის მოწმის ე. ჩ.-ს პოზიცია:

5.1. ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ 2016 წლის 23 მარტს ეთიკის კომისიაში მტკიცებულების სახით წარმოადგინა იურისტის, ე. ჩ.-ს განცხადება. მოწმე განმარტავს, რომ ის და ვასილ მეტონიძე ერთად იმყოფებოდნენ იუსტიციის სახლში და უნდა წასულიყვნენ სასამართლოში. მათ შეხვდათ ადვოკატი რ. ნ., რომელმაც სთხოვა წერეთლის გავლით წაყვანა, ხოლო ვორენცოვის მოედანზე იდგა ადვოკატი ა., რომლის გვარი არ იცის, მხოლოდ ფიზიკურად იცნობს. ვასილ მეტონიძემ მათ განუმარტა, რომ „დინამო“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა გაეველო და მისი კლიენტისათვის უნდა გადაეცა საქმის მასალები, კონვერტში ჩადებულ თანხასთან ერთად. ე. ჩ.-მ ჰკითხა ვასილ მეტონიძეს, თუ ვინ იყო კლიენტი, რაზედაც ამ უკანასკნელმა უპასუხა - „ჩვენი ლ. ა.-ს და“.

5.2. მოწმის განცხადებით, „დინამო“-ს სტადიონის მიმდებარედ ვასილ მეტონიძემ დაურეკა მის კლიენტს და სთხოვა, დახვედროდა გზაში, რადგან სასამართლოში აგვიანდებოდათ. მოწმის განმარტებით, მათ მართლაც დახვდა ქალბატონი, რომელსაც გადასცა საბუთები და კონვერტი, სადაც იდო ფული. ე. ჩ.-ს განმარტებით, ვასილ მეტონიძე თავისი მიღწეული შედეგით კმაყოფილი იყო, მაგრამ თავისი კლიენტის დეილით - ლ. ა.-თი იყო უკმაყოფილო, რადგან ის ცდილობდა მისი დის შვილი გაემართლებინა. ასევე, მოწმის ინფორმაციით, ლ. ა. ითხოვდა გამომძებლისა და პროკურორის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას, რასაც ვასილ მეტონიძე არ თანხმდებოდა.

#### 6. ადვოკატის მოწმის ა. დ.-ის პოზიცია:

ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ 2016 წლის 23 მარტს ეთიკის კომისიაში მტკიცებულების სახით წარმოადგინა ადვოკატ ა. დ.-ის განცხადება. მოწმე განმარტავს, რომ 2015 წლის ზაფხულში, იგი შემთხვევით შეხვდა ვასილ მეტონიძეს, რომელთან ერთადაც მანქანაში იმყოფებოდა ადვოკატი რ. ნ. და ე. ჩ.. მოწმის განცხადებით, აღმოჩნდა რომ ყველა მიდიოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. მგზავრობისას ვასილ მეტონიძემ მიმართა მანქანაში მჯდომებს, რომ თუ არ იქნებოდნენ წინააღმდეგნი და არ ეჩქარებოდათ, შეივლიდა „დინამო“-ს სტადიონისკენ, კლიენტისათვის საქმის მასალების და თანხის გადასაცემად, თან საუბრობდა, რომ „ნარკოტიკების საქმე“ წარმატებით დაამთავრა და ბრალდებულის ოჯახის წევრისათვის უნდა გადაეცა საქმის მასალების ქსერო ასლები და ფულადი თანხა, რომელიც გირაოს სახით ჰქონდა შეტანილი და უკან დაუბრუნდა. მოწმის განმარტებით, წინააღმდეგი არავინ იყო, რომ ვასილ მეტონიძეს მისი კლიენტი ენახა, ამიტომაც გაჩერდნენ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მოვიდა მისთვის უცნობი, შუახნის ქალბატონი, რომელსაც ვასილ მეტონიძემ გადასცა საქმის მასალები და კონვერტი ფულადი თანხით. თუ რა რაოდენობის იყო თანხა, მოწმის განმარტებით, მისთვის უცნობია.

#### 7. ადვოკატის მოწმის რ. ნ.-ს პოზიცია:

- 7.1. ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ 2016 წლის 23 მარტს ეთიკის კომისიაში მტკიცებულების სახით წარმოადგინა ადვოკატ რ. ნ.-ს განცხადება. მოწმე განმარტავს, რომ საჯარო რეესტრში ყოფნის პერიოდში შემთხვევით შეხვდა ადვოკატ ვასილ მეტონიძესა და ე. ჩ.-ს, ხოლო როდესაც გაიგო, რომ ისინი მიდიოდნენ, „დინამო“-ს გავლით, თბილისის საქალაქო სასამართლოში, რ. ნ. მათ გაჰყვა. მოწმის განმარტებით, გზაში, საუბრისას, ვასილ მეტონიძემ თქვა, რომ თავისი ყოფილი კლიენტისათვის უნდა დაებრუნებინა თანხა 5 000 (ხუთი ათასი) ლარი, რომელიც გირაოს სახით ჰქონდა შეტანილი, ასევე მანქანაში მსხდომებს განუმარტა, რომ კლიენტის დედა იყო ვინმე ოლია მკერლიშვილი და იგი უნდა შეხვედროდა მას დინამოს მიმდებარე ტერიტორიაზე და უნდა გადაეცა საბუთებთან ერთად.
- 7.2. მოწმის განმარტებით, მანქანაში მყოფი პირები დაინტერესდნენ, რა სტადიაზე იყო საქმე, ბრალდებული გამართლდა თუ დაკავებულია, რაზეც ვასილ მეტონიძემ განუმარტა მათ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ფსიქოტროპული ნივთიერების გამო შეუფარდა ერთი წელი პირობითი სასჯელი, ჯარიმის გარეშე, ხოლო აღნიშნული განაჩენი პროკურატურამ გაასაჩივრა, რის შემდეგაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება. მოწმის განმარტებით, როდესაც განაჩენი შევიდა კანონიერ ძალაში, ბრალდებულის დედამ მისცა რწმუნებულება ვასილ მეტონიძეს თანხის ასაღებად. რ. ნ.-ს განმარტებით, ეს რწმუნებულება თავად აქვს ნაწახი.
- 7.3. მოწმის განმარტებით, 2016 წლის თებერვალში ვასილ მეტონიძე შეხვდა მას და ძალიან აღელვებული იყო - ამბობდა, გირაოს თანხას მთხოვენ, თითქოს არ მიმიციაო. მისივე თქმით ადვოკატი ლ. ა. უწყობდა პროვოკაციებს. რ. ნ.-ს განმარტებით ამ ფაქტის გარეშეც იცოდა, თუ ვინ არის ლ. ა. და რომ მას არაერთხელ ჰქონია პრობლემები სამართალდამცავ ორგანოებთან და კლიენტებთან. რ. ნ.-ს განცხადებით, ვასილ მეტონიძისათვის კლიენტს არანაირი მომსახურების თანხა არ გადაუხდია. ადვოკატი განმარტავს, რომ იგი პირადად შეესწრო თანხის და საქმის მასალების კლიენტისათვის გადაცემის ფაქტს.

## **8. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

- 8.1. 2016 წლის 23 სექტემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიმართ დისციპლინური დევნის აღმძვრის თაობაზე.
- 8.2. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ვასილ მეტონიძემ, საადვოკატო მომსახურების ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, კლიენტს არ დაუბრუნა გირაოს სახით გადახდილი თანხა 5000 (ხუთი ათასი) ლარი, არ აწარმოებდა სრულ და ზუსტ ჩანაწერებს კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით და კლიენტისათვის არ იყო ცნობილი მის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული თანხის მიზნობრიობა, ასევე, ადვოკატი კოლეგებს ესაუბრებოდა მისი კლიენტის საქმის გარკვეულ დეტალებზე, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ (აპეკ) 4.1 მუხლი, მე-8 მუხლის მე-12 მე-13, მე-15 ნაწილები.

## **9. განხილვის კოლეგიის პოზიცია:**

- 9.1. ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, 2018 წლის 20 თებერვლის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინურ კოლეგიას. მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომები ჩაატარა 2018 წლის 05 ივნისს, 2018 წლის 25 ივნისს და



იხელმძღვანელა რა დებულების 36-ე მუხლით, 2017 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით, საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

9.2. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ადვოკატის მიერ განხორციელებულ დისციპლინურ გადაცდომათა შეფასებით, ადვოკატს შესაძლებელია სახდელის სახით განსაზღვროდა გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლებიუფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

## II სამოტივაციო ნაწილი

### 10. საქმის ფაქტები:

#### 10.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

10.1.1. 2015 წლის აპრილის თვეში დააკავეს საჩივრის ავტორის, ოლია მკერლიშვილის შვილი ნ. მ., რომლის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ვასილ მეტონიძე.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

*მხარეთა ახსნა-განმარტება;*

*თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.06.2015 წლის განაჩენი, საქმეზე N1/XXXX-15.*

10.1.2. ნ. მ.-ს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაოს გადახდა 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

*მხარეთა ახსნა-განმარტება;*

10.1.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 04 ივნისის განაჩენით, ნ. მ. ცნილი იქნა დამნაშავედ და სასაჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით. აღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამავე განაჩენის თანახმად, განაჩენის აღსრულებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, გადახდილი გირაოს თანხა 5000 (ხუთი ათასი) ლარი დაუბრუნდა გირაოს შემტანს - ოლია მკერლიშვილს.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

*მხარეთა ახსნა-განმარტება;*

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.07.2015 წლის განაჩენი, საქმეზე N1/ზ-XXX-15.*

10.1.4. საჩივრის ავტორმა, ოლია მკერლიშვილმა ადვოკატ ვასილ მეტონიძეს რწმუნებულების საფუძველზე მიანიჭა აღსრულების ეროვნულ ბიუროში, სს „საქართველოს ბანკში“ წარმომადგენლობის უფლება და ნ. მ.ს სახელზე გირაოს სახით გადახდილი თანხის 5000 ლარის დაბრუნების უფლება, რისთვისაც განესაზღვრა შესაბამისი დოკუმენტაციაზე ხელმოწერის, განცხადებების გაკეთების, საჭირო დოკუმენტაციის მიღების, წარდგენის და დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების განხორციელების უფლება.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

*26.06.2015 ს რწმუნებულება NXXX.*

10.1.5. ადვოკატ ვასილ მეტონიძეს, ნ. მ.ს საქმეზე ოლია მკერლიშვილის მიერ გადახდილი გირაოს თანხა, 5 000 (ხუთი ათასი) ლარი ჩაერიცხა საკუთარ საბანკო ანგარიშზე.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

*1. მხარეთა ახსნა-განმარტებები;*

*2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 11 თებერვლის პასუხი N13XXX*

10.1.6. 2018 წლის ბოლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ოლია მკერლიშვილის მიერ შეტანილი სარჩელის საფუძველზე დაწყებული საქმის წარმოება თანხის დაკისრების მოთხოვნით შეწყდა, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე ვასილ მეტონიძემ წარმოების პროცესში დააკმაყოფილა და ვასილ მეტონიძემ საჩივრის ავტორს დაუბრუნა 5000 ლარი.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

*მხარეთა ახსნა-განმარტებები.*

10.1.7. ვასილ მეტონიძემ კოლეგებს, რ. ნ.-ს, ა. დ.-ს და ე. ჩ.-ს საკუთარ ავტომობილში ერთად ყოფნის დროს გააცნო ნ. მ.-ს სისხლის სამართლის საქმის გარემოებები.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

*ადვოკატ რ. ნ.-ს წერილობითი პოზიცია;*

*ადვოკატ ა. დ.-ს წერილობითი პოზიცია;*

*ადვოკატ ე. ჩ.-ს წერილობითი პოზიცია.*

10.2. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი სადაო ფაქტია:

10.2.1. ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ საჩივრის ავტორს აცნობა, რომ მის შვილს სასამართლომ დააკისრა დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით და განუმარტა, რომ დაიბრუნებდა მის მიერ გადახდილ გირაოს თანხას და გადარიცხავდა ჯარიმის ანგარიშზე, რისთვისაც მას სჭირდებოდა მინდობილობა.

10.2.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ პირადად ჩაიბარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, სადაც მითითებული იყო გირაოს სახით გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ და განაჩენი არ გადასცა საჩივრის ავტორს. ოლია მკერლიშვილის განმარტებით ის ენდო ადვოკატს და გაუფორმა რწმუნებულება გირაოს სახით გადახდილი თანხის დაბრუნებისა და შემდგომ მისი ჯარიმის ანგარიშზე შეტანის თაობაზე. შესაბამისად, ოლია მკერლიშვილის არ ჰქონდა საშუალება ზუსტი ინფორმაცია სცოდნოდა აღნიშნული თანხის დაბრუნებისა და მისი შემდგომი განკარგვის თაობაზე.

10.2.3. ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია - გირაოს თანხის ჯარიმის ანგარიშზე შეტანის შესახებ, ვინაიდან მხარეს გადასცა განაჩენი და მას ჰქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა განაჩენს, სადაც პირდაპირ იყო განსაზღვრული გირაოს სახით გადახდილი თანხის დაბრუნება და არაფერი იყო ნახსენები ჯარიმის შესახებ. ამასთან, ადვოკატის განცხადებით, როგორც ბრალდებული, ასევე, საჩივრის ავტორი ოლია მკერლიშვილი

ესწრებოდნენ განაჩენის გამოცხადებას, შესაბამისად მათთვის ცნობილი იყო საქმის შედეგი და ადვოკატი რაიმე ახალ გარემოებას ვერ მოიგონებდა.

10.2.4. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებით არ დასტურდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის განაჩენის საჩივრის ავტორისთვის გადაცემის ფაქტი. თუმცა, მხარეთა ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ როგორც საჩივრის ავტორი, ასევე მისი შვილი ნ. მ. ესწრებოდნენ განაჩენის გამოცხადებას. ასევე, ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ 2015 წლის 25 ივნისს გაცემულ რწმუნებულებაზე, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „მე, ოლია მკერლიშვილი, ვენდობი ვასილ მეტონიძეს, იყოს ჩემი წარმომადგენელი აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ს/ს „საქართველოს ბანკში“, დაიბრუნოს ჩემს მიერ ნ. მ.ს სახელზე გირაოს სახით გადახდილი თანხა 5000 ლარი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას, გააკეთოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს საჭირო დოკუმენტები, შეასრულოს ყველა მოქმედება დაკავშირებული მოცემული დავალების შესრულებასთან“.

10.2.5. შესაბამისად, რწმუნებულებიდან ირკვევა, რომ ის გაცემულია ოლია მკერლიშვილის მიერ ადვოკატის მიერ გირაოს თანხის 5000 ლარის დაბრუნების შესასრულებად. რწმუნებულებაში არ არის მითითებული ინფორმაცია ადვოკატის მიერ ჯარიმის ანგარიშზე თანხის შეტანის შესახებ. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ სასამართლო დარბაზში განაჩენის გამოცხადების დროს საჩივრის ავტორის ყოფნა და მინდობილობაში მითითებული შინაარსი იძლევა საფუძველს, რომ ეთიკის კომისიის მიერ არ იქნეს გაზიარებული საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიერ ჯარიმის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

## 11. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვასილ მეტონიძემ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის დაუბრუნებლობის ნაწილში ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა.

## 12. სამართლებრივი შეფასება:

12.1. ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დაბრუნებული გირაოს თანხის საჩივრის ავტორისთვის გადაუცემლობით დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებით გათვალისწინებული ადვოკატისთვის მინდობილი თანხის დაბრუნების ვალდებულება:

*ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით (აპკ-ის 8.12 მუხლი).*

*ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება (აპკ-ის 8.13 მუხლი).*

*კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს*

*გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (აპეკ-ის 8.15 მუხლი).*

- 12.2. ადვოკატი ვალდებულია აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრების, საგადასახადო დავალებები, ცნობები და ა.შ.) სათანადოდ წარმოებას. ასევე, თანხის გადაცემის შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას. საქმის დასრულების შემდეგ ადვოკატმა უნდა დაუბრუნოს კლიენტს ყველა დოკუმენტი და ფულადი სახსრები რომელიც კლიენტმა გადასცა მას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას.
- 12.3. „ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება“ (ეთიკის კომისიის 02.07.2012 გადაწყვეტილება, საქმეზე #003/12).
- 12.4. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ 2015 წელს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დაბრუნებული გირაოს თანხა მიიღო პირადად, ხოლო მისი გადაცემა ოლია მკერლიშვილისთვის მოხდა მას შემდეგ, რაც ოლია მკერლიშვილმა თანხის დაბრუნების მოთხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. აღსანიშნავის, რომ ეს თანხა წარმოადგენს მინდობილ ხარჯებს, რომლის განკარგვასთან დაკავშირებითაც ადვოკატს განსაკუთრებული გულისხმიერება მართებს. კერძოდ, ადვოკატი ვალდებულია მართოს მინდობილი ხარჯები კეთილსინდისიერად და აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერები მის განკარგვასთან დაკავშირებით. მინდობილი ხარჯები არ წარმოადგენს ადვოკატის საკუთრებას და შესაბამისად, პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე ადვოკატს ურთიერთობის შეწყვეტისას აკისრია მისი დაბრუნების ვალდებულება.
- 12.5. ადვოკატმა ოლია მკერლიშვილს გირაოს სახით გადახდილი თანხა გადასცა 2018 წელს. შესაბამისად, ადვოკატმა თანხის დაბრუნებით აღიარა მის მიმართ საჩივრის ავტორის მოთხოვნის ნამდვილობა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა, რაც გამოიხატა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გადასაცემი თანხის საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვის, მის კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულებების დარღვევაში.

12.6. ადვოკატის არაკეთილსინდისიერ ქცევაზე მეტყველებს საპროცესო და განხილვის კოლეგიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებებიც, სადაც ის აღნიშნავდა, რომ მან საჩივრის ავტორს დაუბრუნა გირაოს თანხა. ამასთანავე, ადვოკატმა წარმოადგინა მოწმეთა წერილობითი ჩვენებები, სადაც მოწმეებმაც დაადასტურეს ვასილ მეტონიძის მიერ ოლია მკერლიშვილისათვის თანხის გადაცემის ფაქტი. ეთიკის კომისია საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას, მათ შორის მოწმის ჩვენებას აფასებს მისი დამაჯერებლობის კუთხით, რაც გულისხმობს მისი ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების შეფასებას, რამაც შეიძლება გარკვეული გავლენა იქონიოს მოწმის ჩვენების სისწორეზე. მოცემულ შემთხვევაში, რ. ნ.-ს, ა. დ.ს და ე. ჩ.-ს წერილობითი პოზიციები განსხვავდება ეთიკის კომისიის მიერ თანხის გადაცემის თაობაზე უდავო ფაქტად მიჩნეული გარემოებისგან. შესაბამისად, აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებს მოცემულ ნაწილში ვერ ექნება მტკიცებულებათა ძალა.

12.7. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიერ არ დარღვეულა კონფიდენციალობის პრინციპი:

*ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 7.1 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად“.*

*აპკ-ის 4.1 მუხლი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.*

12.8. „კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება გასული დროის მიუხედავად, როგორც ამჟამინდელი კლიენტის, ისე ყოფილი კლიენტის ან პოტენციური კლიენტის მიმართ“ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე №094/11).

12.9. კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის, ადვოკატს ევალება იმ ინფორმაციის დაცვა, რომელიც მის ხელთ სწორედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში აღმოჩნდა. ადვოკატს ევალება გაამართლოს კლიენტის ნდობა, რაც უპირველესად კლიენტისაგან უშუალოდ მიღებული ინფორმაციისა და კლიენტის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისადმი პროფესიულ მიდგომას მოითხოვს.

12.10. საპროცესო კოლეგიამ კონფიდენციალური ინფორმაციის სავარაუდოდ დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით აღძვრის გადაწყვეტილება მიიღო ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მოწმეთა წერილობითი პოზიციების საფუძველზე, სადაც მოწმეები ადასტურებენ, რომ ვასილ მეტონიძე მის კუთვნილ ავტომანქანაში ესაუბრებოდა ნ. მ.-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. მოწმე ე. ჩ.-მ აღნიშნა, რომ მან იცოდა როგორც საქმის ვითარება, ისე მონაწილე

პირთა ვინაობა, ასევე, ეს ინფორმაცია ჰქონდა რ. ნ.-საც. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ვინაიდან ეს პირები ერთად იყვნენ ავტომობილში, სავარაუდოდ, ინფორმაცია ცნობილი იქნებოდა ყველა მოწმისთვის.

- 12.11. ეთიკის კომისიის სხდომაზე ოლია მკერლიშვილის წარმომადგენელმა, მათა დარბაიძემ გაზარდა პრეტენზიის მოცულობა ადვოკატის მიმართ და აღნიშნა, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება დაირღვა არამარტო მანაქანაში, ასევე ადვოკატის საადვოკატო ოფისშიც. მათა დარბაიძემ აღნიშნული დარღვევის მოტივად მიუთითა თავად ვასილ მეტონიძის განცხადებაზე, რომლითაც მან ისაუბრა ოლია მკერლიშვილთან კონსულტაციების გაწევის პროცესში სხვა ადვოკატთა დასწრებაზე.
- 12.12. ეთიკის კომისია ეჭვქვეშ აყენებს ადვოკატის მიერ წარმოდგენილ მოწმეთა წერილობით ჩვენებების სანდოობას იმ ნაწილში, სადაც ისინი საუბრობენ ვასილ მეტონიძის მიერ ოლია მკერლიშვილისათვის თანხის დაბრუნების თაობაზე. თუმცა, მათივე ჩვენებიდან ირკვევა ისეთი გარემოებები, რასაც ეთიკის კომისია მსჯელობის საგნად მიიჩნევს. კერძოდ დგინდება, რომ მოწმეები ფლობენ ნ. მ.-ის სისხლის სამართლის საქმის შესახებ ინფორმაციას, რაც მათ ადვოკატ ვასილ მეტონიძისგან მანაქანაში ყოფნის დროს მიიღეს. მათივე განმარტებებიდან ირკვევა ისიც, რომ ისინი საქმეს აქამდე არ იცნობდნენ და მათთვის უცნობი იყო საჩივრის ავტორი. აღნიშნული დასტურდება წერილობით განმარტებებში მითითებული სიტყვებიდან - მოწმე ე. ჩ.-ს განმარტებით დინამოს სტადიონის მიმდებარედ ვასილ მეტონიძეს „დახვდა ქალბატონი“, ა. დ.-ს განმარტებით - „სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვიდა მისთვის უცნობი, შუახნის ქალბატონი“, ხოლო მოწმე რ. ნ.-ს განმარტებით ვასილ მეტონიძემ მას უთხრა, რომ „კლიენტის დედა არის ვინმე ოლია მკერლიშვილი“. შესაბამისად, მოწმეთა განმარტებებით დასტურდება, რომ მათ საჩივრის ავტორი ნახეს მხოლოდ დინამოს მიმდებარე ტერიტორიაზე და ოფისში მათი შეხვედრა არ მომხდარა. საჩივრის ავტორი წარმოდგენილ საჩივარში არ საუბრობს ოფისში შეხვედრის დეტალებზე, ხოლო წარმომადგენლის, მათა დარბაიძის განმარტებით, მას საჩივრის ავტორისგან არ აქვს მიღებული ინფორმაცია ვასილ მეტონიძის სამუშაო ოფისში საჩივრის ავტორისთვის კონსულტაციების გაწევის პირობებზე. მათა დარბაიძის პრეტენზია, სამუშაო ოფისში კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე, ეფუძნება ადვოკატის განმარტებას, რომლის მიხედვით მან აღნიშნა, რომ მანქანაში მსხდომი ადვოკატები საქმიანობას ეწევიან მის სამუშაო ოფისში, სადაც ისინი ასევე ესწრებოდნენ ოლია მკერლიშვილისთვის კონსულტაციების გაწევას. ვასილ მეტონიძის სამუშაო ოფისში მოწმეთა ერთობლივი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სისწორეს ეჭვქვეშ აყენებს მოწმე ე. ჩ.-ს განმარტება, სადაც ის ა. დ.-ს იხსენებს შემდეგი სიტყვებით - „ვარანცოვის მოედანზე გაჩერებაზე იდგა ადვოკატი ა., გვარი არ ვიცი, ფიზიკურად ვიცნობ“.
- 12.13. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არ დასტურდება ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიერ საჩივრის ავტორისთვის სამუშაო ოფისში კონსულტაციების გაწევის პროცესში სხვა პირთა ყოფნისა და მათ მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების ფაქტი, რაც შეეხება მოწმეთა მიერ მანქანაში მიღებულ ინფორმაციას, სადაც ვასილ მეტონიძემ გაამჟღავნა ნ. მ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე გარკვეული ინფორმაცია, აღნიშნულზე თავად ნ. მ.-ს პრეტენზია ეთიკის კომისიაში არ დაუფიქსირებია. პრეტენზია ზეპირი სახით, მხოლოდ საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მათა დარბაიძემ დააფიქსირა. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ ნაწილში დაფიქსირებული პრეტენზია წარმოდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. ეთიკის კომისიის დისკრეცია გამომდინარეობს საქმის განხილვის ინტერესიდან, რომელიც

შეიძლება გააჩნდეს იმ პირს, რომლის მიმართაც ადვოკატმა დაარღვია ეთიკური ვალდებულებები, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ ვგაქვს.

- 12.14. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით ადვოკატ ვასილ მეტონიძეს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, ვინაიდან აღნიშნული პრეტენზიის წარმდგენი წარმოადგენს არასათანადო მხარეს. თუმცა, კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიერ დარღვეულია პროფესიული ნორმებით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულებები, რაც გამოიხატა გადაცემული თანხის საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვის, მის კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულებების დარღვევაში, რისთვისაც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური სახდელი.
- 12.15. ეთიკის კომისია ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის სიმძიმეს და მიყენებული ზიანს, რაც შეიძლება გამოიხატოს ადვოკატის პროფესიისათვის ან/და საჩივრის ავტორისთვის ზიანის მიყენებაში. ორივე შემთხვევაში, „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმე #098/17).
- 12.16. „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).
- 12.17. მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმეიდან და ადვოკატის ქმედებიდან გამომდინარე, ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს გაფრთხილება, რაც განაპირობა კლიენტისგან მინდობილი თანხის არამართლზომიერმა და არაკეთილსინდისიერმა განკარგვამ და კლიენტისთვის ამ თანხის დაუბრუნებლობამ. ადვოკატის ასეთი მოქმედებით ზიანი მიადგა კლიენტს, ის რამოდენიმე წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა ადვოკატისგან თანხის მიღებას და მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის გზით შეძლო ამ თანხის დაბრუნება. ეთიკის კომისია ადვოკატისათვის გაფრთხილების მიცემის დროს ასევე ითვალისწინებს ადვოკატის არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ეთიკის კომისიის კოლეგიების მიმართ, რა დროსაც ის საპროცესო და განხილვის კოლეგიებთან საუბრობდა თანხის საჩივრის ავტორისთვის დაბრუნების შესახებ, თუმცა ამ საუბრის ნამდვილობა გააქარწყლა მისივე მოქმედებამ, როდესაც 2018 წელს სამოქალაქო დავის მიმდინარეობის პროცესში ვასილ მეტონიძემ დაუბრუნა ოლია მკერლიშვილს სადაო თანხა.
- 12.18. ეთიკის კომისიამ დისციპლინური სახდელის ფორმის სახით გაფრთხილების განსაზღვრისას გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები

პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და გარემოება, რომ ადვოკატს არ აქვს დადებული რაიმე სახის გაუქარწყლებელი სახდელი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა იქნება ზედმეტად მკაცრი, შეუსაბამო და არაპროპორციული სახდელი ჩადენილ გადაცდომასთან.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 2.5 მუხლით, მე-19 მუხლით, 39-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

### III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N012/16 ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიმართ /სიითი #4754/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

გადაწყვეტილებას ერთვის კომისიის წევრის, ირაკლი კორძაბიას განსხვავებული მოსაზრება.

კომისიის თავმჯდომარე:

/თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი

/კონსტანტინე გელაშვილი/

კომისიის წევრი:

/ანა ხურციძე/

კომისიის წევრი:

/მარიკა არევაძე/

კომისიის წევრი:

/ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი:

/ხათუნა ჩხაიძე/

კომისიის წევრი

/ინგა სეხნიაშვილი/

კომისიის წევრი

/ირაკლი კორძაბია/

კომისიის წევრი:

/ია გაბედავა/

კომისიის წევრი:

/ბესარიონ ბოხაშვილი/

კომისიის წევრი:

/არჩილ ჩოფიკაშვილი/



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის  
თორნიკე ბაქრაძისა და ეთიკის კომისიის წევრის ანა ხურციძის განსხვავებული აზრი  
ეთიკის კომისიის №012/16 გადაწყვეტილებაზე,  
ადვოკატის მხრიდან ეთიკური ვალდებულებების დარღვევის თაობაზე**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიმართ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება (დისციპლინურ საქმეზე 077/16). გამოვხატავთ პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ და ვეთანხმებით სახდელის ზომას, თუმცა მიგვაჩნია, რომ ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიერ, კლიენტის მიერ მინდობილი თანხის არამართლზომიერ და არაკეთილსინდისიერ განკარგვასთან ერთად, დარღვეულია კონფიდენციალობის პრინციპი.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ვასილ მეტონიძეს შორის დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატს უნდა დაეცვა ოლია მკერლიშვილის შვილის, როგორც ბრალდებულის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. გადაწყვეტილების მიხედვით, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევას არ ჰქონდა ადგილი, ვინაიდან საჩივრის ავტორის სახით წარმოდგენილი იყო არაუფლებამოსილი განმცხადებელი, რაც გულისხმობს იმას, რომ საჩივრის ავტორის შვილის მიერ პრეტენზიის წარმოდგენის შემთხვევაში კონფიდენციალობის პრინციპი დარღვეული იქნებოდა.

ზემოთაღნიშნულ განმარტებას არ ვიზიარებთ, ვინაიდან სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირთა დაცვის შემთხვევა წარმოადგენს გამონაკლისს, როდესაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს ბრალდებულის ნების გათვალისწინებით მისი ახლო ნათესავის ან სხვა პირის მიერ, რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლი. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ სხვადასხვა მიზეზით ბრალდებულს არ შეუძლია ადვოკატის აყვანა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფს სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირთათვის დაცვის უფლების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას.

მაშინ, როდესაც ბრალდებულის ნათესავი, რომელიც მოქმედებს ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, დებს ხელშეკრულებას ადვოკატთან, მხარეები უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავენ შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, ბრალდებულის ახლო ნათესავს, როგორც ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოეშობა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები, მას ასევე უფლება აქვს წარუდგინოს პრეტენზიები ადვოკატს ეთიკური ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში.

მიგვაჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევა არ მომხდარა მის სამუშაო ოფისში, ვინაიდან მაშინ როდესაც ოლია მკერლიშვილი მივიდა ადვოკატ ვასილ მეტონიძის ოფისში ის დაეთანხმა არსებულ პირობებს, იმ ფაქტს, რომ მას საუბარი მოუწევდა სხვა ადვოკატთა გარემოცვაში, ამასთანავე საჩივრის ავტორს ადვოკატის სამუშაო ოფისში კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე საჩივარში, საპროცესო და განხილვის სხდომებზე პრეტენზია არ დაუფიქსირებია, მხოლოდ საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა

მიუთითა ამის შესახებ ეთიკის კომისიის სხდომაზე, ეთიკის კომისიის წევრის მხრიდან დამაზუსტებელი შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს. რაც შეეხება, ადვოკატის ავტომატურად მომხდარ ფაქტს, რა დროსაც ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა მის კოლეგებს, რომელთა საქმეში წარმოდგენილი ჩვენებიდან ირკვევა, რომ მათ მხოლოდ მანქანაში ყოფნის მომენტში შეიტყვეს სისხლის სამართლის საქმის შესახებ, მიგვაჩნია, რომ მოცემულ ეპიზოდში ადვოკატმა ვასილ მეტონიძემ დაარღვია კონფიდენციალობის პრინციპი, რაც თავად ადვოკატის კომისიისადმი მიცემული განმარტებითაც დასტურდება.

მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიის მხრიდან დარღვევის ფაქტებზე ყურადღების გამახვილება, რადგან ეთიკის კომისიის მთავარ ამოცანას სწორედ ასეთი ფაქტების გამოვლენა და მათზე შესაბამისი რეაგირება წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, მივიჩნევთ, რომ ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიერ საჩივრის ავტორის, ოლია მკერლიშვილის შვილის სისხლის სამართლის საქმეზე პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებით დარღვეულია კონფიდენციალობის პრინციპი და აღნიშნული წარმოადგენს ეთიკის კომისიის განხილვის საგანს. ვფიქრობთ, ეთიკის კომისიას უნდა დაედგინა ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევა.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე:

/თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი:

/ანა ხურციძე/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრის

ირაკლი კორძახიას განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №012/16 გადაწყვეტილებაზე

ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით

გაფრთხილების დაკისრების თაობაზე

1. გამოვხატავ რა პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, რომლებმაც განიხილეს ოლია მკერლიშვილის საჩივარი და მიიღეს გადაწყვეტილება #012/16 საქმეზე ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიმართ გაფრთხილების დაკისრების თაობაზე, ვაფიქსირებ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს, ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიერ კონფიდენციალობის ვალდებულების დაცვასთან და მის მიმართ გამოყენებულ სახდელთან დაკავშირებით.
2. მიმაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი ფაქტების და მტკიცებულებების შეფასების და პროფესიული ვალდებულებების საპროცესო და მატერიალური მარეგულირებელი ნორმების შეფარდების შედეგად უნდა დადგენილიყო ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიერ კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევა.
3. საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნის საფუძვლად სხვა საფუძვლებთან ერთად მითითებულია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის („კანონი“) 7.1 მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის („აპეკ“) 4.1 მუხლის შესაძლო დარღვევის გამო, რადგან ადვოკატი ესაუბრა მანქანაში მის კოლეგებს მისი კლიენტის საქმის კონფიდენციალურ გარემოებებზე. განხილვის კომისიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი სხვა პრეტენზიები კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით არ უნდა დაექვემდებაროს განხილვას, რადგან დაცვის უფლების დარღვევის გამოსარიცხად, განხილვის წესით მსჯელობა უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ იმ დარღვევებზე, რომლებიც მითითებულია საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებაში. სხვა შემთხვევაში, ადვოკატი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, ჰქონდეს საკმარისი ვადა და შესაძლებლობა, გააქარწყლოს ბრალდებები, რომლებიც მის წინააღმდეგ არის წარმოდგენილი.
4. ეთიკის კომისიამ არ დაადგინა კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევა ფორმალური საფუძვლით, რადგან ოლია მკერლიშვილი წარმოადგენდა არასათანადო მხარეს (იხ. 12.14. პარ.). ამავე დროს კომისიამ ჩათვალა, რომ ოლია მკერლიშვილი წარმოადგენდა სათანადო მხარეს ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.12, 8.13 და 8.15 მუხლების დარღვევასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულ მუხლებში ადვოკატის ყველა ვალდებულება მიმართულია მხოლოდ კლიენტის მიმართ. რადგან კომისიამ დაადგინა ამ მუხლების დარღვევა ოლია მკერლიშვილის საჩივრის საფუძველზე, კომისიამ აღიარა, რომ ოლია მკერლიშვილი წარმოადგენდა სათანადო მხარეს, როგორც ეს განსაზღვრულია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების („დებულება“) 6.1.(ა) მუხლში.
5. ოლია მკერლიშვილი წარმოადგენს აპეკ-ის 8.1. და 8.2 მუხლებით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს, რადგან ადვოკატიც და საჩივრის ავტორიც აღიარებს, რომ ოლია მკერლიშვილის თანხმობით ჩაერთო ადვოკატი საქმეში (პარ. 1.2 და 4.2), ის იყო 5000 ლარის

გირაოს შემტანი (პარ.10.1.3). შესაბამისად, სრული საფუძველი არსებობს, იმისთვის, რომ ოლია მკერლიშვილი ჩაითვალოს უფლებამოსილ პირად, როგორც აპეკ-ის, ასევე დებულების მიზნებისთვის.

6. ეთიკის კომისიამ სწორედ ცნო ოლია მკერლიშვილი უფლებამოსილ განმცხადებლად 8.12, 8.13. და 8.15 მუხლებთან დაკავშირებით, თუმცა თანამიმდევრულობა მოითხოვდა, რომ ოლია მკერლიშვილი აღიარებული ყოფილიყო უფლებამოსილ პირად ასევე 4.1. მუხლთან მიმართებით, რადგან ყველა დასახელებულ მუხლში ადვოკატის ვალდებულებები მიმართულია კლიენტისადმი, ხოლო კლიენტს შეიძლება წარმოადგენდეს უფლებამოსილი პირი.
7. ეთიკის კომისიას არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული, როდესაც მას მიმართა კლიენტის მშობელმა, მეუღლემ ან სხვა ახლო ნათესავმა და პრეტენზია წარადგინა კლიენტის მიმართ დარღვეულ უფლებაზე, ხოლო ეთიკის კომისიამ ის ცნო უფლებამოსილ პირად და არსებითად განიხილა საქმე. მაგალითად საქმე #112/11, როდესაც მამის მოთხოვნით დადგინდა შვილის (კლიენტის) მიმართ ადვოკატის მხრიდან პროფესიული ვალდებულების დარღვევა.
8. შესაბამისად, ეთიკის კომისიას უნდა ეცნო ოლია მკერლიშვილი უფლებამოსილ განმცხადებლად ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით.
9. რაც შეეხება უშუალოდ კონფიდენციალობის ვალდებულების დაცვის საკითს, ამ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა კანონის 7.1 მუხლი და აპეკ -ის 4.1 მუხლი. საქმეში უდაო გარემოებას წარმოადგენს, რომ ადვოკატი ესაუბრა გარეშე პირებს - ე. ჩ.-ს, ა. დ.-ს და რ. ნ.-ს მისი მანქანით ერთად მგზავრობისას მისი კლიენტის - ნ. მ.-ის მსჯავდების დეტალებზე. ადვოკატის განმარტება, რომ ამით მას კონფიდენციალობა არ დაურღვევია, რადგან აღნიშნული პირები ესწრებოდნენ საჯარო სასამართლო პროცესებს, არადამაჯერებელია, რადგან სამივე მოწმეების: ე. ჩ.-ს, ა. დ.-ს და რ. ნ.-ს პოზიციები თანმხვედრია. სამივე მოწმე აცხადებს, რომ მანქანით მგზავრობისას ისინი დაინტერესდნენ, რა ეტაპზე იყო საქმე, ხოლო ადვოკატი მოუყვა მათ, რომ წარმატებით დაამთავრა საქმე, მიუთითებდა პერსონალურ მონაცემებზე და ეუბნებოდა, რომ გირაოს თანხა დასაბრუნებელი ჰქონდა ბრალდებულის ოჯახის წევრისთვის. ის გარემოებაც, რომ ადვოკატი უბრუნებდა გირაოს თანხას ოჯახის წევრს, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას აპეკ-ის 4.1. მუხლის საფუძველზე და ის ვერც სასამართლო პროცესზე გახდებოდა ცნობილი. შესაბამისად ადვოკატმა თავისი მოქმედებით დაარღვია საადვოკატო პროფესიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულება - კონფიდენციალობის ვალდებულება. ეთიკის კომისიას არაერთხელ აქვს ნამსჯელი კონფიდენციალობის დაცვის მნიშვნელობაზე კლიენტის მხრიდან ნდობის შენარჩუნებისთვის, საერთოდ ადვოკატის პროფესიის მიმართ საზოგადოების ნდობის გამტკიცებისთვის და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვისთვის. იხ. საქმეები #134/12, #054/13 და რეკომენდაციები #007/14 და #010/15. შესაბამისად, კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევა, პროფესიული ვალდებულების საკმაოდ მძიმე დარღვევაა.

10. გაუმართლებლად მიმაჩნია ასევე ადვოკატ ვასილ მეტონიძეს მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის ზომა გაფრთხილება, რადგან მის მიერ ჩადენილი დარღვევა უფრო მძიმე სახდელს იმსახურებს.
11. დებულების 2.5 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.
12. სახდელების გამოყენებისას პროპორციულობის პრინციპის დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში გიორგი ქუმსიაშვილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წინააღმდეგ, ვრცელი განმარტება მიუძღვნა სახდელების შერჩევასას გასათვალისწინებელი კრიტერიუმებს და მიუთითა, რომ: *„ადვოკატთა შესახებ“ კანონით გადაცდომისთვის დადგენილი სახდელი ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებს. სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, როლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, ოჯახური მდგომარეობის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია, ამასთან, მხედველობაში მისაღება მანამდე არსებული პრაქტიკა, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.“*
13. კომისიას რომ დაედგინა კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევა, ეს სავარაუდოდ მოახდენდა ზეგავლენას სახდელის სახეზე, თუმცა ამ შემთხვევაში შევხები სახდელის პროპორციულობას უკვე დადგენილ დარღვევებთან მიმართებით.
14. მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული რაიმე გადაწყვეტილებაზე, რომელიც სანქცია გამოტანილი იქნა კლიენტის ქონების ადვოკატის ქონებისგან დამოუკიდებლად შენახვის, კეთილსინდისიერად მართვის და დაცვის შეწყვეტისას ქონების კლიენტისთვის დაუყოვნებლივ დაბრუნებას შეეხებოდა. ასეთი ხასიათის მითითებების აუცილებლობას ხაზი გაუსვა უზენაესი სასამართლომ ზემოთ ციტირებულ გადაწყვეტილებაში, რადგან სხვა შემთხვევაში რთულია პროცესში მონაწილე მხარეების დარწმუნება, რომ თანასწორობის პრინციპი დაცული იყო.
15. ეთიკის კომისიამ #054/11 საქმეში დაადგინა ადვოკატის მიერ 8.13 მუხლის დარღვევა, როდესაც ადვოკატმა კლიენტისთვის გადასაცემად მოწინააღმდეგე მხარისგან მიღებული თანხა არ შეინახა თავისი ქონებისგან დამოუკიდებლად და საბოლოოდ კლიენტის ნაცვლად თანხა დაუბრუნა მოწინააღმდეგე მხარეს. ამ საქმეში ეთიკის კომისიამ სახდელის სახედ განსაზღვრა 6 თვე საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. მართალია, ამ საქმეში დამატებით იყო დადგენილი კლიენტისთვის გარანტიის მიცემა და ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურების ვალდებულების დარღვევა, რაც

ამძიმებს ადვოკატის მიერ ჩადენილ დარღვევას. თუმცა, არსებობს დამამძიმებელი გარემოებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სანქციის განსაზღვრისას.

16. საქმეში შემდეგი დამამძიმებელი გარემოებებია:

- a. საპროცესო კოლეგიამ ეს საქმე განიხილა 2016 წელს. შემდგომ განხილვის კოლეგიამ იმსჯელა 2018 წელს. 2016 წელს და 2018 წელს ადვოკატი კოლეგიებს უდასტურებდა, რომ მან კლიენტის უფლებამოსილ პირს დაუბრუნა გირაოს თანხა 5000 ლარი. მხოლოდ 2019 წელს გამართულ სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ მან რამდენიმე თვის წინ დაუბრუნა თანხა კლიენტს. ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიისთვის ყალბი ჩვენების მიცემა არამართო დამამძიმებელი გარემოებაა, არამედ შეიძლება ცალკე პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენდეს.
  - b. შემდგომი დამამძიმებელი გარემოებაა ის, რომ ადვოკატმა მისდამი მინდობილი თანხის დაბრუნება მოახდინა მოთხოვნიდან 3 წელზე მეტი პერიოდის გასვლის შემდეგ, რაც მნიშვნელოვნად ხანგრძლივი ვადაა.
  - c. ადვოკატმა საჩივრის ავტორს თანხა დაუბრუნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიმართა სარჩელით ადვოკატის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში რთულია ზიანის ანაზღაურება ჩაითვალოს ნებაყოფლობით ანაზღაურებად, რაც შესაძლებელია შემამსუბუქებელი გარემოება ყოფილიყო. პირიქით, სასამართლოსადმი მიმართვის შემდეგ თანხის დაბრუნება წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას, რადგან სასამართლოსადმი მიმართვა დაკავშირებულია დაზარალებული პირის დამატებით ხარჯთან და დროსთან.
  - d. საპროცესო ან განხილვის კოლეგიების სხდომებზე 2016, 2018 და 2019 წლებში ადვოკატს არ უღიარებია თავისი რაიმე სახის დარღვევა კლიენტთან ან მის უფლებამოსილ პირთან მიმართებით. იმ პირობებში, როდესაც თანხის 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაუბრუნებლობის ფაქტი ადვოკატმა აღიარა თანხის შემდგომი დაბრუნებით, დარღვევის აღიარების შემთხვევაში, ნათელი იქნებოდა, რომ ადვოკატმა იდენტიფიცირება გაუკეთა მის მიერ პროფესიული ვალდებულების დარღვევას და ნაკლები იქნებოდა იმის ალბათობა, რომ ადვოკატი მომავალშიც არ ჩაიდენს მსგავსი ხასიათის დარღვევას. ამ შემთხვევაში ასეთი აღიარების არარსებობა, დამამძიმებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს.
17. შესაბამისად ვხელმძღვანელობ *დებულების* 2.5 და 35.2 მუხლებით, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1.(ბ) მუხლით, დარღვევის სიმძიმის, დამამძიმებელი გარემოებების და კომისიის აქამდე არსებული პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, მიმაჩნია, რომ 6 თვე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება იქნებოდა სამართლიანი და პროპორციული სახდელი ადვოკატ ვასილ მეტონიძის მიერ აპკ-ის 8.12., 8.13. და 8.15 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის გამო. იმ შემთხვევაში, თუ კომისია დაადგენდა კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევასაც, სახდელი შესაძლოა კიდევ უფრო მკაცრი ყოფილიყო.

ირაკლი კორძაძია

ეთიკის კომისიის წევრი